თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1732446

ნომერი: AR1284826

თარიღი : 08.02.2015

გაცემის თარიღი : 13.02.2015

გაცნობის თარიღი : 13.02.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი IV , კვარტალი I ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- ოთარ ლორთქიფანიძის 20

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალი სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქგეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამშენებლო ობიექტებს, საჭიროა სამრეცხაო ბოქსები განთვასდეს ისე, რომ მომსახურეობა არ იყოს აღქმადი ქუჩის მხრიდან, შესაბამისად მიწის ნაკვეთის საზღვრებში მათ დასაფარად განთავსდეს დახვეწილი სახით ღობე (ამჟამად ფაქტიურად წარმოდგენილია დიდი მოცულობის რეკლამა).

ამასთანავე წარმოსადგენია:

- ახალი ფოტომონტაჟები ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რომელიც დამუშავებული იქნება სახვადასხვა რაკურსიდან გადაღებულ ფოტოსურათებზე.

- საჭიროა დამატებით აირჩიოთ ნომენკლატურა "ღობის მშენებლობა", რისთვისაც გეძლევათ საშუალება ამავე განცხადებაზე ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით.

- სიტუაციური გეგმა საპროექტო ადგილის, საპროექტო ღობის და ავტოსამრეცხაო ბოქსებში შესვლა-გამოსვლის სქემის დატანით.

- საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა შპს "ახალი პურის კომბინატი", რომლის დირექტორსაც სამეწარმეო რეესტრის თანახმად წარმოადგენს მოქ. გივი ანთელავა, ხოლო განცხადებით მოგვმართეთ თქვენ მოქ. ნინო ფარცხალაძემ. საჭიროა "მინდობილობა/რწმუნებულების ველში" აიტვირთოს მოქ. გივი ანთელავას მიერ თქვენს სახელზე გაცემული მინდობილობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე, ან ასევე შესაძლებელია მოქ. გივი ანთელავა დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.